



## S D L Trados Studio

თარგმნის დამხმარე  
პროგრამული უზრუნველყოფის  
SDL Trados-ის სახელმძღვანელო

ნაწილი II - მთარგმნელობითი მეხსიერების შექმნა და გამოყენება

2019 წელი

წარმოდგენილი სახელმძღვანელო მეორე ნაწილია SDL Trados Studios-ს ტრენინგების საშუალო დონის (Intermediate) დამსწრეთათვის დელტას მთარგმნელობით ჯგუფში. იგი განკუთვნილია პროექტის მენეჯერებისა და მთარგმნელებისთვის. მასში განხილულია მთარგმნელობითი მეხსიერების შექმნის, მართვისა და გამოყენების საკითხები. მთარგმნელობითი მეხსიერების გამოყენება დროის ყოველი პერიოდის შემდეგ ზრდის მთარგმნელის შრომის ნაყოფიერებას, უზრუნველყოფს მისი საქმიანობის უწყვეტობას ისე, რომ ყოველი მიმდინარე შესრულებული თარგმანი შემდგომი მთარგმნელობითი საქმიანობის ნაწილი ხდება.

მთარგმნელობითი მეხსიერების შექმნისა და მართვის საკითხები განხილულია ყველაზე პოპულარული პროგრამა SDL Trados Studios-ის საფუძველზე.


**SDL Trados-ის** პროგრამა გვაძლევს საშუალებას მარტივად და მოკლე დროში ვიმუშაოთ მსხვილ პროექტებსა და სხვადასხვა მასალებზე. სახელმძღვანელოში დეტალურადაა აღწერილი პროგრამის ფუნქციები და მასში მუშაობის გზები.

გისურვებთ წარმატებებს !

დელტას მთარგმნელობითი ჯგუფის

აღმასრულებელი დირექტორი

ანა ჩიქოვანი





Δ წარსულში შესრულებული ნებისმიერი თარგმანი, მთარგმნელობითი მეხსიერების მეშვეობით, გიზოგავთ დროს და გიუმჯობესებთ ხარისხს სამომავლო თარგმანებში Δ

მთარგმნელობითი მეხსიერება წარმოადგენს სეგმენტირებულ, მინიმუმ ორენოვან წყვილთა ნაკრებ ფაილს, რომელიც ყოველი თარგმნისას გვახსენებს ჩვენს მიერ ადრე თარგმნილი ნაწყვეტის, სიტყვის, წინადადების თუ სეგმენტის თარგმანს. აღნიშნული თვისებით მთარგმნელობითი მეხსიერება - Translation Memory დროის მნიშვნელოვან დანაზოგს და ხარისხის ხელშესახებ ამაღლებას გვთავაზობს.


მთარგმნელობითი მეხსიერების ფაილები შესაძლებელია მივიღოთ ორი გზით: უკვე არსებული თარგმანებიდან შექმნა (Create from Scratch) და მიმდინარე თარგმნის პროცესში მთარგმნელობითი მეხსიერების ავტომატური შექმნა.

ორივე შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას ფაილზე (file-based) და სერვერზე (server-based) დაფუძნებული მთარგმნელობითი მეხსიერება. განვიხილოთ ფაილზე დაფუძნებული ინგლისურ-ქართული მთარგმნელობითი მეხსიერების შექმნის მაგალითი.

პროგრამის საწყის გვერდზე ავირჩიოთ მენიუს პუნქტი: Translation Memories =>New=>New Translation Memory




ან მისი არჩევა შესაძლებელია ძირითადი მენიუს Home ჩანართზე დაკაპუნებით:



ახალი მთარგმნელობითი მეხსიერების შექმნისათვის, ავირჩიოთ ზემოთ ნაჩვენებ მენიუზე NEW ან კლავიშების კომბინაცია: Alt+Shift+N, რომლის შემდეგაც მივიღებთ შემდეგ ოფციებს:

New Translation Memory



1 of 4 completed

Create From:  Browse...

Name:

Description:

Copyright:

Location:  Browse...

Source Language:

Target Language:

Enable character-based concordance search

თუ მოვნიშნავთ **Enable Character-Based Concordance Search**-ს, აღნიშნული საშუალებას მოგვცემს მოგვიანებით მეხსიერებაში მოიძებნოს არა მხოლოდ მთელი წინადადებები და აზრები და მთხვევის ხარისხის მიხედვით, არამედ მოიძებნოს სიტყვები და ფრაზებიც.

გამოტანილ ფანჯარაში ვავსებთ შემდეგ ველებს :

- მიუთითეთ დასახელება, მდებარეობა, ორიგინალის ენა (Source Language) და თარგმანის ენა (Target Language) მთარგმნელობითი მეხსიერებისთვის.

## 1. შეავსეთ მთავარი გვერდი

- **Name (დასახელება)** გრაფაში მიუთითეთ **EN-GE** (ასევე სახელწოდებაში შეგიძლიათ დაამატოთ თემატიკის დასახელება, რათა მოგვიანებით თქვენ თავად მარტივად მიხვდეთ აღნიშნული მეხსიერება რომელი დარგისათვის და რა ენებისათვის შექმნილია).
- შეამოწმეთ და თუ აუცილებელია, აირჩიეთ **ინგლისური (USA)** და **ქართული (Georgian)** ენები.
- დაკლიკეთ **Next (შემდეგი)**
  - ✚ ასევე შესაძლებელია შექმნათ ახალი მთარგმნელობითი მეხსიერება უკვე არსებული მთარგმნელობითი მეხსიერების გამოყენებით, **Browse (ატვირთვა)** ლილაკზე დაწკაპებით, რომელიც მდებარეობს **Create from (შექმნა)** გრაფაში.



Δ იმისათვის, რომ თქვენი TM იყოს ორგანიზებული, დარწმუნდით, რომ იყენებთ სტანდარტულ დასახელებას. შეგიძლიათ მიუთითოთ დასახელებაში ის ენა, რომელზეც დოკუმენტი არის ნათარგმნი. მთარგმნელობითი მეხსიერების განაწილება დამკვეთების მიხედვით- ყოველთვის კარგი იდეაა. დოკუმენტის სათაურში შეგიძლიათ მიუთითოთ: `client xyz legal EN(US)-GE(GE).sdltm'`. Δ

New Translation Memory

General Fields and Settings Language Resources Finish

2 of 4 completed

Fields

Name	Type	Picklist	Allow Multiple Values
Quality	Number		
SourceFile	Text		<input type="checkbox"/>
TargetFile	Text		<input type="checkbox"/>

Recognize

Dates  Acronyms  Alphanumeric strings  
 Times  Variables  
 Numbers  Measurements

Count as one if words:

Are hyphenated  Contain formatting tags  
 Are joined by dashes  Contain apostrophes

Help Back Next Finish Cancel

2. შექმენით ტექსტური ველი სახელად **Project**. ეს მოგცემთ საშუალებას განსაზღვროთ, თუ რომელ პროექტთან ასოცირდება სათარგმნი მასალა.
  - მოათავსეთ მაუსის კურსორი **Name (დასახელება)** სვეტში და ჩაწერეთ **project**.
  - **Type (სტილი)** გრაფაში ჩანს სია, რომელშიც აირჩევთ **text -ს (ტექსტი)**

Type ▲

Number

Text ▼

Text

- ✚ ასევე შეგიძლიათ შექმნათ თარიღის, რიცხვისა და დროის ველები.
- აირჩიეთ **Allow Multiple Values ( ერთზე მეტის არჩევა)**, რომელიც მოგცემთ საშუალებას, აირჩიოთ ერთზე მეტი პროექტი, რომელთანაც სათარგმნი მასალა ასოცირდება.
- **Settings (პარამეტრები)** მოთავსებულია **Fields and Settings page** -ის ბოლოში და გამოიყენება იმ ელემენტების ამოსაცნობად, რომლებიც არ იცვლება თარგმანის დროს. როდესაც ეს ფუნქციაა ჩართული, ელემენტები იდენტიფიცირება, როგორც ამოცნობილი სიმბოლოები.
- **QuickPlace (სწრაფად ჩასმა)** -ის ფუნქცია გვამძლევს საშუალებას, სწრაფად ჩავსვათ წყაროდან სათარგმნი მასალაში ისეთი ელემენტები, როგორებიცაა: ფორმატირება, შემოკლებები, ციფრები, თარიღები და სხვა სახის ამოცნობილი სიმბოლოები.
- დავუშვათ, გვსურს რომ თარგმანში ყველა შემოკლება იყოს გაწერილი და არა გადატანილი **QuickPlace**-ის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში უნდა მოვაშოროთ აღნიშვნა „შემოკლებების ამოცნობა“, რათა თარგმნისას ისინი ამოცნობილ სიმბოლოებად არ ჩაითვალოს.
- მთარგმნელობითი მეხსიერების **Count as one if words (ერთ სიტყვად ჩათვლა)**-ში უთითებთ, თუ როგორ უნდა ამოიცნოს სიტყვების თვლის მექანიზმმა ის სიტყვები, რომლებიც დაყოფილია დეფისით, ტირეთი ან ფორმატირების ნიშნებით.
- დაკლიკეთ **Next (შემდეგი)**
  - ეკრანზე გამოჩნდება ენების ჩამონათვალი, სადაც შეძლებთ შექმნათ ან შეცვალოთ ენების რესურსთა სია. ეს სიები გამოიყენება სეგმენტაციის წესებთან შეთავსებით მთარგმნელობით მეხსიერებაში და ისეთი შინაარსის ტექსტების ამოსაცნობად, რომელთაც არ აქვთ თარგმანი. ძირითადი ენის არჩევა ხდება ავტომატურად.




Δ იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს ისეთი დამკვეთის ტექსტებთან, რომელიც იყენებს აბრევიატურებს და არ აკმაყოფილებს ჩვენს სტანდარტებს, ამისათვის პარამეტრებიდან უნდა შევასრულოთ შემდეგი მოქმედებები: **'Settings' > Language Resources > Abbreviation List**. სიის ბოლოში ჩაწერეთ ის აბრევიატურები, რომლის დამატებაც გსურთ. Δ



Template:

Settings


Description:

Language: 

Resources:

Type	
Variable List	<input type="button" value="Edit"/>
Abbreviation List	<input type="button" value="Reset"/>
Ordinal Follower List	
Segmentation Rules	

- დაეუშვათ, კონკრეტული მთარგმნელობითი მეხსიერება უნდა გამოვიყენოთ, რომ ვთარგმნოთ **SDL** ვებსაიტი ქართულ ენაზე, რადგან არ გსურთ კომპანიის დასახელების თარგმნა, აღნიშნეთ **SDL**, როგორც ცვლადი.
  - **Resources (რესურსები)** - ის სექციაში **Variable List (ცვლადი სია)** -ზე ორჯერ დაკლიკებით გაიხსნება **Variables dialog** -ის ფანჯარა.



- ორჯერ დაკლიკეთ პირველ ხაზს და ჩაწერეთ **SDL**
- დაკლიკეთ **OK (თანხმობა)**-ს **dialog box**-ის დახურვისათვის.

- **შენიშვნა:** თუ არსებულ მთარგმნელობით მეხსიერებას მიამაგრეთ ახალი მეხსიერება, ენის რესურსები ახალ მეხსიერებაში ავტომატურად იქნება გამოყენებული.

- დაკლიკეთ **Finish (დასრულება)**-ს, რომ შექმნათ მთარგმნელობითი მეხსიერება. **Creating page** გამოსახულია ეკრანზე.
- როდესაც ელემენტების სტატუსი **Creating page (შექმნის გვერდი)**-ზე შეიცვლება და გახდება **Completed (დასრულებული)**, დაკლიკეთ **Close (დახურვა)**-ს.




4 of 4 completed

Creating translation memory Completed.

Show Error Details...

Help Back Next Close Cancel



მთარგმნელობითი მეხსიერება დაემატა ნავიგაციის პანელზე **TM (მთარგმნელობითი მეხსიერება)**-ის საქალაქში.

## მთარგმნელობითი მეხსიერების შექმნა შესწორებული შედეგებიდან

შესაძლოა მთარგმნელობითი მეხსიერების შექმნა იმ თარგმანების იმპორტისათვის, რომლებიც შეიქმნა არსებული თარგმანების წყარო და თარგმნილი ფაილების შესწორების შემდეგ.

## მთარგმნელობითი მეხსიერების პარამეტრების შესწორება


დავუშვათ, გვსურს მთარგმნელობითი მეხსიერების პარამეტრების შესწორება, რათა შევქმნათ ველი, რომელშიც გამოჩნდება, იყო თუ არა სათარგმნი მასალა გამოყენებული ჩვენ მიერ დაბეჭდილსა თუ ონლაინ პუბლიკაციებში. მთარგმნელობითი მეხსიერების შესწორება შესაძლებელია TM-ის პარამეტრების **Dialog box**-ში.

### ამ ამოცანის შესახებ

- გამოიყენეთ ნიმუში ინგლისურ-ქართული მთარგმნელობითი მეხსიერების, რომელიც შექმენით წინა სავარჯიშოში.


## პროცესი

1. იმისათვის, რომ შევასწოროთ მთარგმნელობითი მეხსიერების პარამეტრები, იგი უნდა იყოს დახურული **TM side-by-side editor**-ში. თუ მთარგმნელობითი მეხსიერება კვლავ გახსნილია, დაკლიკეთ **X**-ს **TM side-by-side editor**-ის ზედა მარჯვენა კუთხეში, რომ დახუროთ მიმდინარე დამხმარე სესია. მთარგმნელობითი მეხსიერება დაიხურა, მაგრამ ისევ რჩება ნავიგაციის პანელზე.




2. აირჩიეთ მთარგმნელობითი მეხსიერება Delta Translation Group **EN-GE** (მთარგმნელობითი მეხსიერება, რომელიც წინა სავარჯიშოში შექმენით) ნავიგაციის პანელის განყოფილებაში **მთარგმნელობითი მეხსიერების დაბლა** და დაკლიკეთ **Settings (პარამეტრები) Tasks group**-ში **Home tab**-ზე.

გამოჩნდა მთარგმნელობითი მეხსიერების პარამეტრების დიალოგური ფანჯარა:



3. შექმენით ველები სია სახელად **OutputType**:

- აირჩიეთ ველები და პარამეტრების გვერდი
- მოათავსეთ კურსორი პირველ ცარიელ ველში **Name-ის** დაბლა და ჩაწერეთ **OutputType**;
- შემდგომ გამოჩნდება **Type-ის** ველი და ისარი. დაკლიკეთ ისარს და აირჩიეთ **List** (სია);
- მაღლა **Picklist-ის** ველი და ისარი გამოჩნდება, სადაც შეძლებთ შემდეგი ველების დამატებას: **Print and Online** (ბეჭდვა და ონლაინი).



- აირჩიეთ **Allow MultipleValues**, რომლის საშუალებითაც შეძლებთ ორივე ფუნქციის არჩევას (ე.ი. Print and Online) იმ შემთხვევაში თუ სათარგმნი მოდული გამოყენებულია **print and online**-ში.
- ახალი პარამეტრების დასაყენებლად დაკლიკეთ **OK**.

---

**შენიშვნა:** შეგიძლიათ მიუთითოთ პარამეტრები შემდეგ გვერდებზე:

---

- **[TM Name]** - მთარგმნელობითი მეხსიერების სახელწოდება- აქ იხილავთ მთარგმნელობითი მეხსიერების დეტალებს
- **ენობრივი რესურსები** - აქ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენს მთარგმნელობით მეხსიერებაში არსებული ენების სია, რომლებიც გამოიყენება სემანტიკის წესებთან ერთად მთარგმნელობითი მეხსიერების გადამუშავებისას, ასევე გამოიყენება ისეთი შინაარსის ტექსტებისთვის, რომლებიც არ ითარგმნება.
- **Access Rights (წვდომის უფლება)** -აქ შესაძლებელია ფაილებში არსებული მთარგმნელობითი მეხსიერების დაცვა სხვადასხვა მეთოდებით, როგორცაა

პაროლის დაყენება, რომელიც უზრუნველყოფს მთარგმნელობითი მეხსიერების შენარჩუნებას ან მომხმარებლის უფლებებს.

- **Performance and Tuning (შესრულება და დაპროგრამება/აწყობა)** - აქ შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებებით გავაუმჯობესოთ მთარგმნელობითი მეხსიერების მიერ შესრულებული სამუშაო.
- **Fragment Alignment(ფრაგმენტების შესწორება)** - აქ შეგიძლიათ ჩართოთ და დააყენოთ ფუნქცია **upLIFT Fragment**, რომლის მეშვეობითაც შეძლებთ გამოიყენოთ აქამდე ნათარგმნი ფრაგმენტები თქვენსავე სათარგმნ მასალაში.


ყველა მთარგმნელობითი მეხსიერება, რომელთა რედაქტირებაც ამჟამად შესაძლებელია, გამოჩნდება ნავიგაციის პანელზე მთარგმნელობითი მეხსიერების გრაფაში.

## პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრები

დავუშვათ, გვსურს მთარგმნელობით მეხსიერებაში შემდეგი ცვლილებების შეტანა, რომ თარჯიმანმა მეხსიერების გამოყენებისას მიიღოს ხარისხიანი თარგმანი.

 ..Documents\Studio 2017\Projects\Samples\SampleProject\TMs\English-German.  
sdl.tm

- მოძებნეთ სეგმენტები, სადაც იქნება მართლწერის შეცდომები და შეასწორეთ.
- შეინახეთ თარგმანში შეტანილი ცვლილებები.
- შექმენით ფილტრები, რომ იპოვოთ კონკრეტული მომხმარებლის მიერ დამატებული ყველა თარგმანი.
- გამოიყენეთ კომპლექსური რედაქტირება, რომ შეცვალოთ მართლწერა რამდენიმე თარგმანში ერთდროულად.
- გადმოიტანეთ სათარგმნი მასალები წინა ორენოვანი დოკუმენტებიდან იმისათვის, რომ შეძლოთ მათი გამოყენება მომავალში.
  - ასევე შეგიძლიათ შეასრულოთ დამატებითი სამუშაოები, როგორებიცაა: custom field values -ების შეცვლა და დაკავშირება, ფილტრების ექსპორტი და იმპორტი, მთარგმნელობითი მეხსიერების მონაცემების იმპორტი.



## მთარგმნელობითი მეხსიერების გახსნა

დავუშვათ, გსურთ შეასრულოთ, ზემოაღნიშნულ TM მაგალითზე დაყრდნობით, სხვადასხვა სამუშაოები. ამისათვის გახსენით მთარგმნელობითი მეხსიერება **TM side-by-side editor-ში**.

### პროცესი

- მოცემულ TM-ში დაკლიკეთ „**Open File-based Translation Memory**“ (ფაილზე დაფუძნებული TM), რის შემდეგაც გამოჩნდება **dialog box**.
- აირჩიეთ **English-Georgian.sdltm** ფაილი.
- თუ TM უკვე წარმოდგენილია ნავიგაციის პანელზე, დაკლიკეთ მასზე ორჯერ ან მაუსის მარცხენა ღილაკით აირჩიეთ **Open shortcut menu** (მენიუდან). შესაბამისად გაიხსნება მთარგმნელობითი მეხსიერება დასარედაქტირებლად **TM side-by-side editor-ში**.

## TM side-by-side editor-ის დეტალური განხილვა

### Columns (სვეტები)

- სვეტებში ნაჩვენებია სათარგმნი მასალის სტატუსი, მაგალითად, თუ ის მონიშნულია წასაშლელად ან იყო რედაქტირებული;
- სტატუსზე ასევე მიუთითებს ფერი, რომლითაც სათარგმნი მასალაა აღნიშნული.



- target language (საშედეგო მასალის ენა)-ის სეგმენტების მარჯვნივ მდებარეობს სვეტი, სადაც წარმოდგენილია დოკუმენტის სტრუქტურა. აქვე წარმოდგენილია კოდი, რომელიც გატყობინებთ თუ სად მდებარეობდა ესა თუ ის ტექსტი ძირითად დოკუმენტში, საიდანაც იგი იყო გადმოტანილი, მაგალითად: TC = table cell; H1 = header 1.

### ფერები

ეს ფერი მიუთითებს იმაზე, რომ სვეტი ამჟამად არჩეულია.

ეს ფერი მიუთითებს იმაზე, რომ სათარგმნი მასალა იყო შეცვლილი და, რომ ეს ცვლილებები ჯერ არ არის დაფიქსირებული, რადგან ითხოვს მომხმარებლის დასტურს.

ეს ფერი მიუთითებს იმაზე, რომ სათარგმნი მასალა მონიშნულია წასაშლელად და ეს ბრძანება არ არის ჯერ დადასტურებული.

2	between IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
5	(Georgia)
8	11, LT-10223, Lithuania and Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU), located in Chavchavadze Ave. 1, 0179 Tbilisi, Georgia, hereinafter, referred to as the Parties, having an intention to establish the scientific, research and academic cooperation in the field of Fundamental and Computer Sciences and Business Management and Economics have decided to sign the following Cooperation Agreement:
18	Exchange of scientific materials, publications and information.
26	+99532 2 225679).
31	The Parties undertake to explore the possibilities of funding necessary for the implementation of the actions of cooperation and this within the framework of the respect of regulations and procedures.
32	The Cooperation Agreement shall go into effect from the date of its signing by the Rectors of the respective institutions and be valid for 3 (three) years from the effective date and can be renewed by mutual agreement of both parties.

## ძებნა, რედაქტირება და ცვლილებების შენახვა TM-ში

Documents\Studio 2019\Projects\Samples\SampleProject\TMs\English-Georgian. sldtm

## მთარგმნელობითი მეხსიერების ძებნა

დავუშვათ, რომ თქვენ ახლახან გადმოიტანეთ სათარგმნი მასალა კონკრეტულ TM-ში, ეს დოკუმენტები კი იყო ორენოვანი (ინგლ(UK)-ქართ.), თქვენი TM კი არის (ინგლ(US)-ქართ.)

თუ თქვენ გსურთ, რომ იმპორტირებულ დოკუმენტში გამოიყენოთ USA სპელინგი(მართლწერა), ამ შემთხვევაში, მოძებნეთ და შეცვალეთ იგი შემდეგი გზით:

პროცესი:


- შეიყვანეთ **organization** „Source Text“-ში, საძიებო ფანჯარის „Search Details“-ში.
- მოაშორეთ აღნიშვნა Case sensitive check box-ს
- დაკლიკეთ Perform Search-ს
  - ✚ მოიძებნა ერთი სათარგმნი მოდული, რომელიც შეიცავს **organization**-ს და იგი ნაჩვენებია **TM side-by-side editor**-ში.

## სათარგმნი მოდულის რედაქტირება


UK spelling ჩავანაცვლეთ US spelling-ით.

პროცესი:

- დაკლიკეთ ძირითად სეგმენტზე და ჩასვით **USA spelling organisaztion**. სათარგმნი მოდულის ფერი შეიცვლება და გახდება მუქი ყვითელი, შემდგომ გამოჩნდება სიმბოლო, რომელიც გვიჩვენებს, რომ TU (translation unit)-ში მიმდინარე ცვლილებები ითხოვს დასტურს და შენახვას.



You can also edit translation units in the following ways:

To	Do the following
Mark a translation unit for deletion,	Click  in the <b>Save</b> group on the <b>Home</b> tab.
Assign custom field values to the translation unit.	Use the Field Values window.

## მიმდინარე ცვლილებების შენახვა


ამ ამოცანის შესახებ

- თარგმანის მოდულში ტექსტის შესწორების შემდეგ, საჭიროა თქვენ მიერ შეტანილი ცვლილებების შენახვა.

### პროცესი

- დაკლიკეთ **Commit Changes**, რომელიც მდებარეობს **Save group-ში Home tab-ში, TU** უკვე შენახულია ახალი სპელინგით.

### Filter (ფილტრებისა) და batch (ჯგუფების) რედაქტირება



### ამ ამოცანის შესახებ

- ...Documents\Studio 2017\Projects\Samples\SampleProject\TMs\English-German. Sdlit

### Batch editing სათარგმნ მოდულებში

Batch edit -ის მეშვეობით, შეგვიძლია შევცვალოთ სიტყვები, რომლებიც შეიცავს ამოუცნობ სიმბოლოებს, მაგ: ძველი ქართული დამწერლობის ასოებს. მათი ჩანაცვლება მოხდება დღესდღეობით გამოყენებადი ასოებით.

### პროცესი

- ნავიგაციის პანელში ინგლისურ-ქართულ TM-ზე დაწკაპებით გამოჩნდება ფანჯარა სახელად batch edit script;

## Batch Edit Script

Specify a batch edit script to be applied to the TM.



Filter: <no filter>

Continuation: Always execute all edit actions in the list for each TU

Actions:

Action	Details

- Add
- Edit
- Delete
- Delete All
- Move Up
- Move Down

Load...


Save...

- Help
- Back
- Next
- Finish
- Cancel

მოცემულ ფანჯარაზე **filter**-ში აირჩიეთ მომხმარებლის სახელი, შემდგომ დაკლიკეთ მარჯვენა კუთხეში პირველივე ღილაკს **Add** და აირჩიეთ **find and replace**, რის შემდეგაც თქვენ მიუთითებთ საძიებო სიტყვას ან ასოს და ჩაანაცვლებთ თქვენთვის სასურველი სიმბოლოთი.

## Batch Edit Script

Specify a batch edit script to be applied to the TM.



- მას შემდეგ რაც მიუთითებთ თქვენთვის სასურველ სიმბოლოს, დაკლიკეთ **OK**.
- **batch edit script**-ის ფანჯარა მიიღებს შემდეგნაირ სახეს:

## Batch Edit Script

Specify a batch edit script to be applied to the TM.



Filter:

Continuation:

Actions:

Action	Details
Find and Replace Text	In target, replace '3' with 'o'

- დაკლიკეთ Finish და შეინახეთ ცვლილებები.
- საბოლოო სახე იქნება შემდეგნაირი:

## Applying batch edit script

Please wait while the batch edit script is being applied to the translation memory.



✔
Running the batch edit script.

Edited 81 translation units

როგორც ხედავთ, დარედაქტირდა 81 TU (translation unit).

## ფილტრის შექმნა და გამოყენება

- **Filters group**-ში, რომელიც მდებარეობს **ribbon** (რიბონი)-ზე აირჩიეთ **Add** , ფილტრის დამატებისათვის
- შეიყვანეთ დასახელება და ფილტრი, მომხმარებლის სახელი. ახალი სახელი ავტომატურად გამოჩნდება
- **Search Details window** -ში აირჩიეთ **Add**, **Filter**-ზე ახალი **condition** (პირობა) დამატებისათვის და გახსენით **Add Condition dialog**;
- დაკლიკეთ **OK**.


- დაკლიკეთ ფილტრის შენახვას.

## მონაცემების იმპორტი მთარგმნელობით მეხსიერებაში

მთარგმნელობით მეხსიერებაში შეგიძლიათ გადმოიტანოთ მასთან დაკავშირებული მონაცემები, სათარგმნი მოდულის გადმოტანა ყოველთვის არის შესაძლებელი, თუმცა მასთან დაკავშირებული მონაცემები დამოკიდებულია დოკუმენტის ტიპზე საიდანაც ის იყო გადმოტანილი.


დასაშვებია მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი იმპორტირებული დოკუმენტების ტიპები:

- **Translation Memory Exchange Documents (\*.tmx, \*.tmz.gz)**
  - ამ ტიპის დოკუმენტისას იმპორტირდება შემდეგი მონაცემები:
    - სათარგმნი მოდულები;
    - სამომხმარებლო ველები და მათი მნიშვნელობა;
    - სისტემის ველები;
- **SDL XLIFF Bilingual Documents (\*.sdlxliff)**
  - ორენოვანი დოკუმენტისას იმპორტირდება შემდეგი მონაცემები:
    - სათარგმნი მოდულები;
    - ინფორმაცია დოკუმენტის შინაარსზე;
- **TRADOStag Documents (\*.ttx) • SDL Edit Documents (\*.itd)**
- **Alignment Files (\*.sdlalign)**
  - როდესაც გადმოგაქვთ \*.sdlalign-სახის მონაცემები, ამ დროს შეგიძლიათ ტრადოს მისცეთ ბრძანება, რომ ეს დოკუმენტი დაახარისხოს.



- **Add files**-ზე დაწკაპებით თქვენ შეძლებთ სასურველი დოკუმენტის გადმოტანას;
- **Next** -ლილაკზე დაწკაპებით გამოჩნდება **Bilingual Document Import** (იმპორტირების პარამეტრები ორენოვანი დოკუმენტისთვის).





როგორც ხედავთ, ზემოთ მოცემულ ფანჯარაში მონიშნულია ის სეგმენტები, რომლის გადმოტანაც გსურთ:

- **Translated** (ნათარგმნი)- ეს თარგმანი დასრულებული და დადასტურებულია;
- **Translation approved** (თარგმანი დადასტურებულია) - თარგმანი დადასტურებულია ერთი მხარის მიერ.
- **Signed off** (ხელმოწერა)-თარგმანი ხელმოწერილია დამკვეთის მიერ, ეს დადასტურების კოდექ ერთი გზაა.

Delta Translation Group  
www.delta-group.ge, www.heldt.ge

SDL\*

Import

3 of 4 completed

1 Import Files    2 Bilingual Document Import Options    3 General Import Options    4 Import

Apply Field Values:

Import translation units as plain text

Exclude language variants

Export invalid translation units

Export Location:

If target segments differ:

Add new translation units


Overwrite existing translation units

Leave existing translation units unchanged


Keep most recent translation units

Use information from bilingual file to update TU system fields

- **Edit**-ზე დაწკაპებით გამოჩნდება **Field Values** (ველი), რომელშიც გამოჩნდება თქვენ მიერ შექმნილი პროექტის დასახელება.



- მთავარ გვერდზე დაბრუნებისათვის დაკლიკეთ OK.



როგორც ხედავთ, იმპორტირების პროცესი დასრულდა, შესაბამისად ორივე დოკუმენტის სტატუსი შეიცვალა და გახდა **COMPLETED**.

იმპორტის შედეგები მიუთითებს:

- **Read 43:** - ე.ი. იმპორტის დროს 43 სეგმენტი იქნა აღქმული.
- **Imported 4:** - მიუთითებს იმაზე, რომ 43 აღქმული სეგმენტიდან, მხოლოდ 4 დაიმპორტირდა, რაც გამოიწვია იმან, რომ მხოლოდ 4 თარგმანს ჰქონდა შემდეგი სტატუსები: **Translated, Translation Approved** ან **Signed off**.
- **Errors 0:** - მიუთითებს იმაზე, რომ იმპორტის პროცესში შეცდომა არ იყო ნაპოვნი.

---

**შენიშვნა:** თუ თქვენ მიერ გადმოტანილი დოკუმენტი რედაქტირებული გქონდათ, შესაბამისად შედეგები განსხვავებული იქნება.

---

- როდესაც იმპორტი დასრულდება, გააქტიურდება **Close** ღილაკი. სესიის დასასრულებლად დაკლიკეთ მას.
- იმპორტირების შედეგები გამოჩდება **TMside-by-side editor**-ში. მიუხედავად იმისა, რომ 4 დოკუმენტი დაიმპორტირდა, მხოლოდ სამი მათგანი გამოჩნდება TM-ში, რადგან 2 სათარგმნ მოდულს ჰქონდა ერთი და იგივე **source text**-ი და თარგმანი, შესაბამისად ისინი გაერთიანდნენ ერთ მოდულში.



## upLIFT ტექნოლოგია

რას წარმოადგენს კონკრეტულად **upLIFT technology**?

მთარგმნელობითი მეხსიერების წინადადებების უმეტესობა დაკავშირებულია ორიგინალისა და საშედეგო თარგმანის ენებთან, თუმცა, როდესაც ჩართულია **upLIFT** ფუნქცია, ის ერთმანეთთან დააკავშირებს არა მხოლოდ მთლიან წინადადებებს, არამედ ორიგინალისა და საშედეგო თარგმანის წინადადებებში თითოეულ სიტყვას.

**upLIFT** ტექნოლოგია ორიენტირებული **TM**-ის დეტალებზე, იგი დაწვრილებით „შეისწვლის“ შესაბამისობას სიტყვებსა და ფრაგმენტებს შორის, რის შემდეგაც მათი შინაარსის გამოყენება შესაძლებელი იქნება უფრო დახვეწილი გზებით.

გამოვყოთ რამდენიმე ტიპიური ტერმინოლოგია:

- **„No match“ (არ ემთხვევა)**- ეს წარწერა ჩნდება მაშინ, როდესაც პროგრამა ვერ პოულობს დამთხვევას დოკუმენტში ახალი სეგმენტისთვის, რომელსაც თარგმნის მომხმარებელი. დღესდღეობით მომხმარებლებს შეუძლიათ სხვადასხვა რესურსების გამოყენება იმისათვის, რომ თარგმნონ ის ტერმინები ან წინადადებები, რომელთათვისაც **TM**-ში თარგმანი არ მოიპოვება. ეს რესურსები შეიძლება იყოს: **AutoSuggest** (ავტომატური შემოთავაზება); ლექსიკონები და შედეგები **concordance searches** (მიახლოებული მნიშვნელობის სიტყვების ძებნა)- დან.
- **upLIFT** ტექნოლოგიის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ **„No match“**- ის დროსაც კი იგი გვაწვდის მცირე მოცულობის სეგმენტებისთვის ნებისმიერი სახის თარგმანს, ამ გზით მომხმარებელი უფრო სწრაფად თარგმნის მასალას, რადგან მას აქვს კონკრეტულ სეგმენტზე სავარაუდო, მიახლოებითი თარგმანი და არ უწევს თარგმნა ნულიდან.
  - **Concordance** (ინფორმაცია სიტყვების შესახებ) -გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ თუ სად ან რამდენად ხშირად გამოიყენება ესა თუ ის სიტყვა ტექსტებში. ამ ფუნქციის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მთარგმნელი ფიქრობს, რომ გარკვეული სეგმენტი უკვე არსებობს ამ პროგრამაში, თუმცა აღნიშნული ფუნქცია მოითხოვს მომხმარებლის ჩარევასა და შედეგების სკანირებას, ამასთანავე მთარგმნელმა შესაძლოა არ იცოდეს თუ რომელი ფრაგმენტი არსებობს მთარგმნელობით მეხსიერებაში.
- **“Fuzzy match” (ნაწილობრივი დამთხვევა)** -ეს წარწერა ჩნდება მაშინ, როდესაც დამთხვევა ნაპოვნია, თუმცა იგი მოითხოვს მაქსიმალურ რედაქტირებას იმისათვის, რომ ახალი წყაროს შინაარსის შესაბამისი იყოს. **“Fuzzy match”-ის** რედაქტირება უფრო ნაკლებ დროსთანაა დაკავშირებული, ვიდრე ზემოაღნიშნულის რედაქტირება, რაც უფრო მიახლოებულია გარკვეული სეგმენტის მნიშვნელობა, მით უფრო ნაკლები შრომა დასჭირდება მის შესწორებას. **“fuzzy match”-ის** დროს upLIFT ტექნოლოგია ამოწმებს

შეუსაბამო კონტექსტის ტექსტს და არედაქტირებს მას მთლიანად, იგი ცვლის ტექსტს ისე, რომ მაქსიმალურად დაუკავშირდეს ორიგინალის სეგმენტებს.

- „Exact match” (ზუსტი დამთხვევა) -ეს წარწერა ჩნდება მაშინ, როდესაც ნაპოვნია ზუსტი დამთხვევა TM-ში. “Exact match”-ის დროს დოკუმენტი მხოლოდ ზოგად მიმოხილვას საჭიროებს იმისათვის, რომ კონკრეტული ტექსტი კონკრეტულ კონტექსტს დაუკავშირდეს.

**upLIFT Fragment Recall**- ის მეშვეობით იდენტიფიცირებული ფრაგმენტები ავტომატურად გამოჩნდება , ამიტომ თარგმნისას იგი არ საჭიროებს მომხმარებლის ჩარევას.





## პროფესიონალური რჩევები SDL Trados-ის მომხმარებლებისგან



Almudena Ballester/ალმუდინა ბალესტერი

Camille Avila/ კამილა ავილა

- იმისათვის, რომ სუბსეგმენტალური შემოთავაზებების ფართო არჩევანი გქონდეთ, შედიით Settings > Translation Memory and Automated Translation > Search და მონიშნეთ ‘TU fragment’-ის ველი.

Claire Cox/ კლერ კოქსი

- გამოიყენეთ filters (ფილტრები), როცა შეგაქვთ ცვლილებები batch changes-ში და იმუშავეთ რამდენიმე დოკუმენტზე ერთად, იმისათვის რომ მაქსიმალურად იყოს დაცული თანმიმდევრობა.

დაიმახსოვრეთ, filtering ოფციები ხელმისაწვდომია SDL Trados -ის Ribbon -ზე , “Review” გრაფაში.

Helga Petzel/ ჰელგა პეტეზელი

- ნებისმიერი TM წარმოადგენს მნიშვნელოვან დანამატს SDL-ის ფუნქციონირებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ TM-ის სხვადასხვა ენობრივი ვარიანტები ან საპირისპირო ენების



კომბინაცია შეიძლება გამოვიყენოთ სათარგმნ პროექტებში. უკვე აღარ არის სავალდებულო პროექტში ენობრივი წყვილების შეცვლა, ახლა შეგძლიათ პროექტის დამატებისას ქვემოთ ჩამოშლილი მენიუდან აირჩიოთ : AnyTM: Any file based TM' or 'Any TM: Any server based TM'

Ziad Chama/ ზიად შამა

- TM-ში შესაძლებელია პროდუქტების ან კლიენტების სახელების ჩასმა ენობრივი რესურსების განყოფილებაში, მაგალითად: 'Mac OS' ან 'Microsoft Windows 10' აირჩიეთ თქვენი TM, დაკლიკეთ Settings (პარამეტრები), რათა შეხვიდეთ 'Language Resources'-ში. შემდგომ დაიწყეთ სახელების დამატება „Variable List“-ის სტრიქონებში, მოგვიანებით კი შეძლებთ მათ განთავსებას სასურველ TM-ში, მსგავსად რიცხვისა და თარიღისა. ამ გზით თქვენ მარტივად შეძლებთ პროდუქტების ვრცელი დასახელებების ჩასმას, გამოიყენეთ Ctrl+ (the shortcut for QuickPlace) თარგმნისას.

Mark Cheetham/ მარკ ჩითჰემი

- მე ხაზს გავუსვამდი TM-ის შენარჩუნების მნიშვნელობას. TM-ის კარგი ხარისხი მხოლოდ მაშინ არის გარანტირებული, როცა ის მუდმივად დაცულია. ფუნქციის გამოყენებისთვის აირჩიეთ Translation Memories მარცხენა ქვედა კუთხიდან და ribbon-დან გახსენით TM. ამის გამოყენებით, თქვენი თარგმნის პროცესის ეფექტურობა გარანტირებული იქნება.

Ben Karl-ბენ კარლი

- იმისათვის რომ TM-ში სეგმენტები გააერთიანოთ, დაკლიკეთ მათ გასწვრივ რიცხვებზე მარჯვენა ღილაკით და აირჩიეთ 'Merge Segments'. ამ ფუნქციის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან ზოგჯერ კლიენტები დოკუმენტებს TM-ისთვის შესაბამის ფორმატში არ გვაწვდიან, ამ შემთხვევაში საჭიროა სათარგმნი დოკუმენტი ჩასწორება.

Greta Magyar/ გრეტა მაგუაიერი

- აუცილებლად დარწმუნდით, რომ ყოველი სეგმენტის თარგმნის შემდგომ თქვენს TM-ს ანახლებთ- სეგმენტის დადასტურება არა მარტო ცვლის მის სტატუსს, არამედ ინახავს მის შინაარსს TM-ში თუ პარამეტრებიდან არჩეულია **update** ოფცია. Update Main Translation Memories- ამ ფუნქციის გამოყენება კარგი იქნება თარგმნის დასრულების შემდგომ, რაც მოგცემთ საშუალებას, დარწმუნდეთ, რომ თქვენი დოკუმენტის შინაარსი შენახულია TM\_ში.

Maria Pous/ მარია პოუზი

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ Fuzzy matches, რათა ვუზრუნველყოთ სტილისა და ტექსტის დაფიქსირება საშედეგო ენაში. Fuzzy matches კარგად ჩანს SDL-ში და შესაძლებელია მისი გაფილტვრა. View-ში გამოიყენეთ **Advanced Display Filter**, რათა გაფილტვროთ ე.წ. „draft“ სტატუსის fuzzy matches.

Agenor Hofmann-Delbor/ აგნორ ჰოფმან-დელბორი

- ტექსტური ველების გამოყენება აუცილებელია იმისათვის, რომ გავიგოთ თარგმანის კონტექსტი. ტექსტურ ველებს შეუძლიათ თქვენი სათარგმნი მოდულების ავტომატური კლასიფიცირება. ასევე განსაზღვროს მნიშვნელოვანი ინფორმაცია თარგმანისთვის. ველის დასამატებლად აირჩიეთ : TM, დაკლიკეთ 'Settings' და შემდეგ აირჩიეთ 'Fields and Settings'. აქედანვე შეგიძლიათ მომხმარებლის სახელის შეყვანა. შემდეგ აირჩიეთ Update რომელიც მდებარეობს Translation Memory and Automated Translation-ის დაბლა.

Mirjam Eulen/ მირიამ ეულენი

- TM განსაკუთრებით გამოსადეგია მაშინ, როდესაც მუშაობთ რამდენიმე კლიენტის ანგარიშზე. შესწორებების შეტანის შემდეგ, თქვენს TM-ს აახლებთ დამტკიცებული ფაილებით, ველის სახელის გამოყენებით : "Client amends". როდესაც ასრულებთ **concordance search** ან ზოგად მიმოხილვას აკეთებთ სამომავლო პროექტებისა, ნებისმიერს, ვინც მუშაობს ანგარიშზე შეუძლია ნახოს კლიენტის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგია ან სტილი "Client amends"-ში.



დელტას მთარგმნელობითი ჯგუფი ©

Delta Translation Group ©

2019 წ

Email: [info@delta-group.ge](mailto:info@delta-group.ge)

Web: [www.delta-group.ge](http://www.delta-group.ge)

Phone: 032 2 83 03 63